უმე-ს იერარქმა პოლონეთში მღვდელმოწამე მაქსიმე გორლიცკის ხსენების დღის დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა



2021 წლის 6 სექტემბერს, პერემიშლისა და გორლიცკის მთავარეპისკოპოს პაისის (პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია) მიწვევით, ჟიტომირისა და ნოვოგრად-ვოლინის მიტროპოლიტმა ნიკოდიმოსმა მონაწილეობა მიიღო პოლონეთში წმინდა მღვდელმოწამე მაქსიმე გორლიცკის (+1914) ხსენების დღესთან დაკავშირებულ ზეიმში, რომელიც ჟიტომირის წმინდანთა კრებულში შედის.

ლუბლიანისა და ხოლმის მთავარეპისკოპოსს აბელთან და პერემიშლისა და გორლიცკის მთავარეპისკოპოს პაისისთან ერთად, მიტროპოლიტმა ნიკოდიმოსმა საღვთო ლიტურგია აღავლინა ქალაქ გორლიცკის წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში.

ქადაგებაში მან აღნიშნა, რომ მღვდელმოწამე მაქსიმე გორლიცკი ახლოსაა მართლმადიდებლურ ჟიტომირთანაც, რამეთუ სწავლობდა ჟიტომირში ვოლინის სასულიერო სემინარიაში და იქ იქნა

ხელთდასხმული.

ასევე, მიტროპოლიტმა ნიკოდიმოსმა მთავარეპისკოპოს პაისის, ცოტა ხნის წინ წმინდანად შერაცხული წმინდა ევმენი ჟიტომირელის ხატი მისი წმინდა ნაწილებითურთ გადასცა საჩუქრად, – იტყობინება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილება ჟიტომირის ეპარქიის პრესს-სამსახურზე დაყრდნობით.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მეუფე ნიკოდიმოსს მიენიჭა ამ წმინდანის სახელობის ეპარქიის მედალი.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87977/